

ქ. თბილისი

„05“ „10“ 2007 წ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
სსიპ ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეორეს მხრივ, სსიპ ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვიან რა ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ ახალგაზრდა თაობების განათლების სრულყოფის საქმეში მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან:

მუხლი 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას სისტემატურად მიაწოდოს თავისი თანამშრომლები ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საღებავების კურსების წასაკითხად, მათი დასახელება და მოცულობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სფეროებს და უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებელთათვის შრომითი გარემოს შექმნას.

მუხლი 2.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობენ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თანამედროვე პროგრამებით მომზადებისა და

კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, რაც გულისხმობს ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებელთა ოსუ-ს დოქტორანტურაში სწავლებისათვის ხელის შეწყობას და მათ უზრუნველყოფას შესაბამისი სამეცნიერო ბაზით და ხელმძღვანელობით, ასევე სტუდენტთა და ლექტორთა გაცვლითი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და ტრენინგების მოწყობას, რომელიც ეფუძნება ბოლონიის პროცესს.

მუხლი 3.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებს ოსუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩართოს ერთობლივ პროგრამებში, რომელიც ხორციელდება ოსუ-სა და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებს შორის.

მუხლი 5.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანხმდებიან მასზედ, რომ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ისარგებლონ აღნიშნული სასწავლებლების საბიბლიოთეკო ფონდებით;

მუხლი 6.

წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 7.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 8.

წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 9.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
გიორგი ხუბუა



სსიპ ზუგდიდის უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულების
რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თეონა ხუფენია

